პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 123 (4633)

1972 წ. 25 ივნისი, კვირა. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

მატჩი მსოფლიო პირველობაზე

## „რატომკა — მიუნჰენი"

**მინსკი, 23 ივნისი.** ბელორუსიის დედაქალაქის შემოგარენში, სოფელ რატომკის საცხენოსნო-სპორტული სკოლის ბაზაზე სტარტი აიღო სსრ კავშირის ჩემპიონატმა ცხენოსნურ სამჭიდში. კროსის ერთ-ერთ წინაღობაზე ხუთი ნაირფერი რგოლის ქვეშ წერია: „რატომკა — მიუნჰენი". ეს სიტყვები საკმაოდ ზუსტად განსაზღვრავენ შეჯიბრების ხასიათს: აქ თავი მოიყარა ქვეყნის სამოცზე მეტმა უძლიერესმა მხედარმა, რათა ოლიმპიადის წინ გამოცადოს ძალები.

ჩემპიონატის პირველ დღეს გაიმართა შეჯიბრებები ცხენის გაწვრთნაში. ჯერჯერობით ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულა დაუგროვდა სომხეთის წარმომადგენელს კ. კაზარიანს — 58,24.

24 ივნისს ისევ გაწვრთნაში გაიმართება ასპარეზობა, მერე კი საველე გამოცდებსა და წინაღობათა გადალახვაში. გამარჯვებული 26 ივნისს გამოვლინდება.

## კარგი საჩუქარი

საქართველოს მესტენდურეებმა ძვირფასი საჩუქარი მიიღეს: ამ დღეებში მახარაძეში საზეიმოდ გაიხსნა მონადირეთა საზოგადოების სტენდი. აღსანიშნავია ის დიდი დახმარება, რომელიც სასტენდო სროლის მესვეურთ რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ამ კომპლექსის დროულად აშენებაში აღმოუჩინეს.

მაგრამ ახალ სტენდზე ჯერჯერობით ყველაფერი როდია მოწესრიგებული. საექსპლოატაციოდ მზად არ არის მრგვალი სტენდის მეორე მოედანი, სატყორცნი მანქანები თეფშების ნორმალური გრძივი ფრენისთვის კარგია, მაგრამ სამიზნეები ხშირად იმტვრევა. მიზეზი ისიცაა, რომ „მონკავშირის" მიერ თბილისში დამზადებული სამიზნეების უმეტესობა უვარგისია.

ახალ სასროლეთს ჰქონდა „კოლმეურნის" სპორტსმენებმა ღირსეულად: ჩატარდა ამ საზოგადოების პირად-გუნდური პირველობა, რომელშიც აფხაზეთის, აჭარის, მახარაძისა და გეგეჭკორის გუნდები მონაწილეობდნენ. შეჯიბრებას თავი წლეულსაც აარიდეს ზუგდიდელმა, წალენჯიხელმა, ლანჩხუთელმა, დუშელმა, გალელმა და სხვა რაიონების მსროლელებმა.

გუნდური პირველობა მასპინძლებმა მოიპოვეს. II ადგილზე გასულმა აფხაზეთის ნაკრებმა ყველა ვარჯიშში სამ-სამის ნაცვლად ორ-ორი მსროლელი გამოიყვანა. III ადგილზეა აჭარის ნაკრები.

### ტექნიკური შედეგები

**ადგილიდან სროლა. გუნდური.** მახარაძე — 219 ქულა, აჭარა — 165, აფხაზეთი — 163. **მრგვალი სტენდი.** მახარაძე — 197, აფხაზეთი — 143, აჭარა — 131. **პირადი პირველობა. ადგილიდან სროლა.** ბ. სეგალევიჩი — 84, ა. ოვსეპიანი (ორივე—აფხაზეთი)—79, რ. ჩიგოგიძე (მახარაძე)—79. **მრგვალი სტენდი.** რ. აჟიბა (აფხაზეთი) — 77, ო. ლომინაძე — 76, ნ. ურუშაძე (ორივე — მახარაძე) — 71.

ახალგაზრდა მახარაძელმა მსროლელმა ი. ჩავლეიშვილმა 50 შესაძლებლიდან 44 ქულა მოაგროვა და პირველად შეასრულა I თანრიგის ნორმატივი.

**ჯ. მოწონელიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

მახარაძე.



ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი ტურისტები ჯვრის მონასტრის მისადგომებთან.

რ. საგინაშვილის ფოტო.

## მეთხუთმეტე პარტია

**ნ. გაფრინდაშვილი — ა. კუშნირი**

სიცილიური დაცვა

ამ შეხვედრაში მსოფლიო ჩემპიონს ყაიმიც ჰყოფნიდა წოდების შესანარჩუნებლად. ამიტომ მან უპრეტენზიოდ გაითამაშა დებიუტი და მტკიცე პოზიცია აიგო. პარტიის შემდეგ ნონამ გვითხრა: რა ძნელი ყოფილა, თეთრებითაც კი, ყაიმის მიღწევა. არა, მოგებაზე თამაში მირჩევნიაო.

**1. e4 c5 2. მf3 e6 3. c3**

გაფრინდაშვილი თამაშის მშვიდობიან გეგმას ირჩევს. შავებისთვის ძნელია აქტიური ბრძოლა.

**3. ... მf6 4. e5 მd5 5. d4 cd 6. cd კe7 7. a3 b6**

ფიგურების განვითარების საინტერესო ჩანაფიქრი. კუშნირმა თავიდან მოიცილა თეთრუჯრედოვანი კუ, რომელიც თეთრებს იერიშის შანსს აძლევდა.

**8. კd3 კa6 9. 0—0 0—0 10. ეe1 კ:d3 11. ლ:d3 მc6 12. მbd2 f5**

12. ... d6 13 მe4-ის შემდეგ შავებს არავითარი პერსპექტივა არა აქვთ. ახლა კუშნირს თავისი ლაზიერი საიერიშოდ გადაჰყავს მეფის ფრთაზე.

**13. ef კ:f6 14. მe4 ლe8 15. მg3 ლf7**

პრეს-ცენტრში 15. ... კe7 ამჯობინებდნენ d6-ზე გადაყვანით. ახლა კი d4-ზე აყვანის მუქარაა.

**16. კe3 კe7 17. ეad1 ეac8 18. კd2 კf6 19. b4 a6 20. მe4**

ნონა მაინც ვერ ითმენს: გამომწვევად თამაშობს. კუშნირსაც ეს უნდა. პოზიცია ძალიან მწვავდება. მშვიდობიანი გზა იყო 20. კe3.

**20. ... ლg6 21. მ:f6+ ლ:f6**

კუშნირს ალბათ ენდშპილის შეეშინდა. 21. ... gf შემდეგ თეთრები ლაზიერებს თუ არ გაცვლიდნენ, შავების იერიშს მეტი ძალა ექნებოდა ენდშპილში. კუშნირს შეეძლო მოგების შანსისთვის ებრძოლა.

**22. კg5 ლf5 23. ლ:a6**

ახლა ნონას სურს ენდშპილის თამაში. იგი კუშნირს იერიშით ხიბლავს.

**23. ... მc3 24. ეc1 მ:d4 25. მ:d4 ლ:g5**

25. ... ლ:f2+ 26. მფh1 ლ:d4 27. კe3 შემდეგ თეთრებს კარგი პოზიცია აქვთ. ახლა თეთრები ფხიზლად უნდა იყვნენ და ნონა წინდახედულად თამაშობს. ცაიტნოტში, რომელიც მეტოქეებს ჰქონდათ, გაფრინდაშვილმა გამსვლელი პაიკის შექმნა განიზრახა.

**26. ლd3**

არ შეიძლება 26. ლ:b6 26. ... e5 27. ... მe2+ მუქარის გამო.

**26. ... მd5 27. ე:c8 ე:c8 28. მe2 h6 29. h3**

უკეთესი იყო 29. ეb1.

**29. ... ლe5 30. ეb1 ლf6 31. a4 ეf8 32. f3 ლg5 33. მფh1 ლh4 34. a5 ba 35. ba ლf2 36. a6**

კუშნირი იერიშს იწყებს, მაგრამ a პაიკზე თვალი უჭირავს.

**36. ... მe3 37. ეg1 ე:f3**

ეს მხოლოდ ყაიმს იძლევა. 37. ... მf5 (მუქარით 38. ... ლ:e2 და 39. ... მg3+) 38. მc3 d5 39. ეa1 შემდეგ თეთრებს ურიგო პოზიცია როდი აქვთ.

**38. a7 ე:h3+**

თუ 38. ... ეf8 მაშინ 39. ლ:d7 ლ:e2 40. ლ:e6+ მფh8 41. ლe7 ნაღდი ყაიმით.

**39. gh ლf3+ 40. მფh2 ლf2+ 41. მფh1 ყაიმი.**

**ო. გიორგაძე.**
**(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).**

რიგა.

* * *

ამრიგად, ბოლო, XVI პარტიის წინ ანგარიში გახდა 8:7 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.

XVI პარტია გაიმართება ორშაბათს, 26 ივნისს. თეთრებით ითამაშებს კუშნირი.

## აი, ნაკრებიც!

კალათბურთის საკავშირო ფედერაციამ და სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელებმა დაასახელეს ოლიმპიური გუნდის სავარაუდო შემადგენლობა. სავარაუდოს იმიტომ ვამბობთ, რომ მიუნჰენის ოლიმპიადამდე შესაძლებელია უმნიშვნელო ცვლილებები მოხდეს.

ყველაზე დიდი მოულოდნელობაა ნაკრებში სახელოვანი საბჭოთა კალათბურთელის გ. ვოლნოვის დაბრუნება. წლეულს ვოლნოვმა რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა ნაკრების შემადგენლობაში, მაგრამ მწვრთნელები უკმაყოფილო იყვნენ ვეტერანის თამაშით. ვოლნოვის ხელახალი დაბრუნება ოლიმპიურ გუნდში იმას ნიშნავს, რომ მან ბოლოს და ბოლოს აღიდგინა ძველი სპორტული ფორმა.

ნაკრებში ერთი დებიუტანტია — სვერდლოვსკელი ცენტრალური თავდამსხმელი ი. დვორნი, რომელიც წლეულს მოაცილეს თავის მშობლიურ კოლექტივს „ურალმაშს" და დროებით ლენინგრადის „სპარტაკში" ჩარიცხეს. საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის ძირითად ხუთეულში თამაშმა ახალგაზრდა, პერსპექტიულ კალათბურთელს სარგებლობა მოუტანა: მან საგრძნობლად აიმაღლა თამაშის კლასი. ოლიმპიური თამაშების შემდეგ დვორნი თავის კოლექტივს დაუბრუნდება.

ნაკრების დანარჩენი წევრები ძველი გვარდიელები არიან, მრავალ ბრძოლაში ნაწრთობნი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები, ხუთხიკის ოლიმპიადის პრიზიორები. გუნდის ძირითად ბირთვს, რა თქმა უნდა, ის ხუთეული შეადგენს, რომელიც ახლახან „ძველი ხამყაროს" ნაკრების ინტერესებს იცავდა ამერიკელებთან ამხანაგურ მატჩებში. ესენი არიან: მოსკოველები ს. ბელოვი, ა. ჟარმუხამედოვი და ი. ედეშკო, კაუნასელი მ. პაულაუსკასი და ლენინგრადელი ა. ბელოვი. ამათ გარდა, ნაკრებში ითამაშებენ თბილისელები ზ. საკანდელიძე და მ. ქორქია, კიეველი ა. პოლივოდა, მოსკოველი ა. ბოლოშევი.

## აფხაზეთის ველოსიპედისტთა წარმატება

ზუგდიდელთა დიდი ინტერესი გამოიწვია „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდურმა პირველობამ ველოსპორტში.

25 კილომეტრზე ქალთა რბოლა აფხაზეთის გუნდის წევრმა ნ. გრიბოედოვამ მოიგო. მისი თანაგუნდელი ნ. სარანტელო II ადგილზეა. III ადგილი ზუგდიდელ ლ. გულორდავას ხვდა.

იუნიორები 50-კილომეტრიან მანძილზე ასპარეზობდნენ. აქ უძლიერესი იყო ლაგოდეხელი მ. კოტაშვილი.

მწვავე ბრძოლით აღინიშნა იუნიორთა გუნდური ასპარეზობა 60 კილომეტრზე. გაიმარჯვეს ზუგდიდელმა ველოსიპედისტებმა.

მოზრდილები 75-კილომეტრიან რბოლაში ჩაებნენ. აქ ყველას აჯობა აფხაზეთის ნაკრებმა. II ადგილზეა ზუგდიდის გუნდი, III — აჭარის კოლექტივი.

პროგრამის ბოლო სახეობა ვაჟთა ჯგუფური რბოლა იყო 100 კილომეტრზე. გაიმარჯვა ვ. გორცემ (აფხაზეთი). ზუგდიდელი რ. კვარაცხელია II ადგილზე აღმოჩნდა. III ადგილზეა გ. ჩუკავინი (აფხაზეთი).

კომპლექსურ ჩათვლაში ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის წოდება აფხაზეთის ველოსიპედისტებმა მოიპოვეს. II ადგილზე გავიდნენ ზუგდიდის, III — აჭარის წარმომადგენლები.

**კ. ფიფია.**
**(ჩვენი კორ.).**

ზუგდიდი.

**როცა გაზეთი ხელმოსაწერად გავა იყო... $19^{45}$**

◆ **ოსნაბრიუკი, 24 ივნისი.** დასავლეთ გერმანიაში სტუმრად მყოფმა ბულგარეთის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა მეორე მატჩშიც დაამარცხა გფრ-ის ერთგვაროვანი გუნდი, ამჯერად ანგარიშით 3:1.

◆ **მიუნხენი, 24 ივნისი.** გდრ-ის მძლეოსანთა ჩემპიონატში 100 მეტრზე ქალთა ფინალური გარბენი (აქ არ გამოდიოდნენ მსოფლიო რეკორდის თანაავტორი რ. შტეჰერი და დაშავებული გ. შტროფალი) მოიგო 22 წლის ე. კაუფერმა — 11,2. ასეთივე შედეგით მეორე იყო კ. ჰაინიხი. 800-მეტრიან მანძილზე რბენის ფინიშთან პირველი მიიჭრა გ. ჰოფმეისტერი — 2.02,2. II ადგილზეა გ. პოლიცი — 2.02,5. ბადრო ყველაზე შორს ტყორცნა გ. ჰინცმანმა — 59,60 მ. საინტერესო იყო ვაჟთა ასპარეზობაც. 100 მეტრზე რბენის ფინიშთან სამი სპრინტერი ერთნაირი შედეგით (10,2) მივიდა, მაგრამ ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: ბ. ბორტი, ზ. შენკე, მ. კოკოტი. 10-კილომეტრიანი მანძილი ყველაზე სწრაფად გაირბინა ევროპის ექს-რეკორდსმენმა, მიუნხენის ოლიმპიადის ერთ-ერთმა ფავორიტმა ი. ჰაასემ — 28.23,4.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ამას წინათ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში სპრინტერებმა საინტერესო ტურნირები გამართეს.

სურათებზე: 100 მეტრზე რბენის ფინიშთან.

ო. გელაშვილის ფოტოები.

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

### სამოცდაათი წლის „ჭაბუკი"

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის სტარტზე დონეცკის ოლქის 5 ათასი ფიზკულტურელი გამოვიდა. ერთი უკვე მივიდა ფინიშთან: მთელი კომპლექსის ნორმატივები ჩააბარა ივანე გოვორმა, რომელსაც ამ შემოდგომით 70 წელი უსრულდება. პენსიონერმა ფიზკულტურელმა ყველა სახეობაში — ცურვაში, რბენაში, ბირთვის კვრაში — გადააჭარბა სანორმატივო მოთხოვნებს 50-60 წლის ასაკის ჯგუფში.

ახალი სამკერდე ნიშანი პირველი სპორტული ჯილდო როდია ვეტერანისთვის. საბჭოთა არმიის ოფიცერმა ი. გოვორმა 30-ან წლებში წარმატებით ჩააბარა კომპლექსის პირველი საფეხურის მოთხოვნები, მალე კი უფრო რთული მეორე საფეხურისაც.

„სპორტი ჩემთვის უებარი წამალია", — ხშირად ამბობს 70 წლის „ჭაბუკი".

... ოქტომბრის რევოლუციის პირველივე წელს ახალგაზრდა რკინიგზელმა მუშამ მშობლიურ ქალაქში ჩამოაყალიბა ფეხბურთელთა გუნდი, რომელსაც მრისხანე სახელი — „ვეფხვი" დაარქვა. მერე გოვორი გატაცებული იყო ტანვარჯიშით, კრივით, ჭიდაობით, ძალოსნობით. ავიდა იალბუზზე. სპორტი და ადამიანი სამუდამოდ დამეგობრდნენ. ახლაც ზამთრობით გოვორს უყვარს თხილამურებით სრიალი, ციგურაობა. ივი მთელი წლის მანძილზე არ ანებებს თავს ცურვას. დაუღალავი საზოგადოებრივი მუშაკი ახალბედებს ავარჯიშებს ჯანმრთელობის ჯგუფში, „დიდი სპორტისთვის" ამზადებს ბავშვებს. ქალაქის აუზზე ივანე გოვორმა კრასნოარმეისკში პირველი წყალბურთელთა გუნდი შექმნა.

ვეტერანმა სპორტსმენმა ყველას შეაყვარა თავი ცეცხლგამძლე აგურის ქარხანაში, სადაც ბოლო წლებში ოსტატად მუშაობდა. აქტივისტებმა მისი მონაწილეობით ჩაუყარეს საძირკველი სტადიონს, რომელიც შემდეგ ამ დიდი საწარმოს ფიზკულტურული კოლექტივის შესანიშნავ ბაზად იქცა.

ენთუზიასტის უამრავ საზრუნავს ახლა კიდევ ერთი დაემატა: ქალაქის დასვენების ზონაში წყალში მაშველი სამსახურის მეთაურობა დაავალეს. გოვორი უკვე ქმნის მოხალისეთა რაზმეულს, ნავებს ამზადებს, ინვენტარს არჩევს. დარწმუნებული ვართ, იგი არც ამ საქმეში შეირცხვენს თავს. ივანე გოვორმა უკვე დაამტკიცა, რომ 70 წელი სიბერეს არ ნიშნავს.

ბ. ბერცენოვი.

კრასნოარმეისკი.

### „გორელნიკის" მეორმოცე სეზონი

სსრ კავშირის ერთ-ერთმა უძველესმა ტურისტულმა ბაზამ „გორელნიკმა" მეორმოცე სეზონი გახსნა. ახლა აქ შვებულებას ერთდროულად საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული 320 ტურისტი ატარებს.

ჯერ კიდევ 1932 წელს დღევანდელ სახელგანთქმულ მაღალმთიან საციგურაო „მედეოზე" ათასი მეტრით მაღლა პირველი ხის ქოხი დადგეს. იმ წლებში ტურბაზა „გორელნიკი" მასობრივი ოლიმპიადების სასტარტო მოედანი იყო, მრისხანე, 40-ან წლებში კი მებრძოლთა სამთო მომზადების სკოლად იქცა.

დიდი სამამულო ომის შემდეგ აქ კვლავ ტურისტები დაბრუნდნენ. აღიმართა ახალი კორპუსები, დამუშავდა ოთხი რთული მარშრუტი. ლაშქრობები გვიან შემოდგომამდე გრძელდება, მერე კი ზამთრის სეზონი იწყება.

ვ. ევდოკიმოვი.

ალმა-ათა.

### „მშრალი" დონბასის ცისფერ ბილიკებზე

კალინინის სახელობის შაღაროში საზაფხულო სპარტაკიადა დაიწყო. ტარდება კალათბურთელთა და ფრენბურთელთა ტურნირები, ერთმანეთს ეჯიბრებიან მიწისქვეშა უბნებისა და საამქროების ფეხბურთელთა გუნდები. სტარტზე გამოვიდნენ კლუბ „ამფიბიის" წყალმოთხილამურეები. ამ „მშრალ" ქალაქში, სადაც მდინარე არ არის, საწყლოსნო სახეობებს სხვებზე ნაკლები ყურადღება როდი ექცევა.

ამ რამდენიმე წლის წინ ხელოვნურ წყალსაცავზე პირველად დაიწყეს თხილამურებით სრიალი სამთო ინჟინერმა ა. ტახტაროვმა, ტექნიკოსმა ნ. ტოვკუნმა, ეკონომისტმა ელენა კულიკმა. ეს სახეობა მეშახტეებსაც მოეწონათ. ახლა „ამფიბიის" ბაზაზე მეზობელი საწარმოების მუშაკებიც ვარჯიშობენ. მათს განკარგულებაშია ორი კატარღა, რამდენიმე ძრავიანი ნავი, საწყლოსნო სლალომის, ფიგურული სრიალის, ტრამპლინიდან ხტომისთვის აუცილებელი ინვენტარი.

აზოვის ზღვის პირას მდებარე სოფელ იურიევკაში, სადაც შახტის პანსიონატია, წყალსათხილამურო სპორტის სექციისთვის შენდება ბინა. აქ მოეწყობა „ამფიბიის" ფილიალი. სპორტსმენები ამ ბაზაზე დაისვენებენ და წვრთნასაც გააგრძელებენ.

დონეცკი.

**სპორტი მოგითხრობს**

# მარადიული სიყვარული

ამ პატარა მოთხრობების ავტორს ვლადიმერ სანინს დედამიწის ორივე პოლუსზე მოუწია ყოფნა. იქ მწერალი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ უსპორტოდ ადამიანი ვერსად გაძლებს: მოდრეიფე ყინულზე დროს არ კარგავს და დათვებზე ნადირობს, ყინულოვან კონტინენტზე ფეხბურთს თამაშობს და ა. შ. მართლაც რომ მარადიულია ადამიანის სიყვარული სპორტისადმი.

ვლადიმერ სანინი

თარგმნა ელზა ახვლედიანმა

## ნადირობა მოდრეიფე ყინულზე

მფრინავმა მ-მა მოდრეიფე სადგურში ტვირთი ჩამოიტანა, თან მოზამთრეებს დიდი ხნის ნატვრა გაანდო: იხე როგორ უნდა მოვკვდე, ცოლს საკუთარი ხელით მოკლული დათვის ტყავი არ მივართვაო. ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს: ნამდვილად კეთილი და გამგები ყმაწვილები გახლდნენ და აბა, ასეთ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდნენ! ღამით, მფრინავს რომ ეძინა, ხელმარჯვე ბიჭებმა ყინულისგან დათვი გამოაქანდაკეს, თან ზემოდან დიდი ქურქიც გადაახურეს. მიმღებმა კომისიამ მოქანდაკეების ნახელავი უმაღლეს ნიშანზე შეაფასა და მალე ჩრდილოეთი პოლუსიც შეშინებული ადამიანების ძახილმა აავსო: „არიქა, დათვი! თავს უშველეთ! მოკალით!". რა თქმა უნდა, მ. პირველი გამოვარდა კარვიდან, ხელში თოფმომარჯვებული სულ ერთიანად ცახცახებდა. „არ ესროლოთ, — ყვიროდა იგი, — მე მაცალეთ!". რასაკვირველია, აცალეს. იმანაც ერთი მეორის მიყოლებით ოთხი ტყვია ზუსტად მოახვედრა მიზანს და ნაფლეთებად აქცია... საკუთარი ქურქი.

დათვზე ნადირობის მეორე შემთხვევა შედარებით წარმატებით დამთავრდა. მოდრეიფე სადგურს ერთხელ კინოგადამღები ჯგუფი ესტუმრა. რამდენიმე დღე ჩვეულებრივ ყოველდღიურ ამბებს იღებდნენ, მაგრამ, ეტყობა, გული სწყდებოდათ, დათვს რომ ვერსად წააწყდნენ. ერთი სიტყვით, დათვი აკლდათ კადრში. რას იზამ, შემოქმედებითი კაპრიზია!



აქამდე დათვების მეტი რა იყო ახლო-მახლო, ახლა კი, თითქოს პირი შეკრესო, ერთიც აღარსად ჩანდა. ლოდინი რომ მოსწყინდათ, სტუმრებმა გადაწყვიტეს უკან გაბრუნებულიყვნენ, მაგრამ უეცრად, გამგზავრების წინადამეს, უზარმაზარი დათვი შემოეხეტა ბანაკში. ოპერატორი სასწრაფოდ გაალვიძეს. ისიც მაშინვე ეცა თავის აპარატს და ნახევრად ჩაუცმელი, ფეხშიშველი გავარდა პირდაპირ თოვლზე. დათვი შეშინდა და გაიქცა. წინ ის მირბოდა, უკან ოპერატორი მისდევდა. ასეთი უჩვეულო გადარბენა ბევრისმომსწრე პოლარელებსაც კი არ ენახათ. მეორე ოპერატორმა აპარატი მოიმარჯვა ხელში და გაქცეულებს დაედევნა, მაგრამ იგი ახლა წანატრ დათვს კი არა, თავის ნახევრად შიშველ კოლეგას იღებდა გზადაგზა...

აი, ეს კი იქნება კადრი, ხომ მართალია?

## როგორ თამაშობენ ფეხბურთს ანტარქტიდაში

ანტარქტიდის გარშემო ძნელი ლაშქრობის შემდეგ „ობი" მიუახლოვდა ვატერლოოს კუნძულს, რომელიც ბელინსჰაუზენმა და ლაზარევმა აღმოაჩინეს 150 წლის წინათ. ამ კუნძულზე მდებარეობდა ორი ქვეყნის სამეცნიერო სადგური — საბჭოთა კავშირისა და ჩილისა. მეზობლები შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ და ხშირი მისვლა-მოსვლაც ჰქონდათ ერთმანეთში.

— მოდი, ფეხბურთი ვითამაშოთ, — შემოგვთავაზა ერთ დღეს ჩილის სადგურის უფროსმა ვილიამ. ეს წინადადება ყველამ ერთსულოვნად მივიღეთ.

შემოდგომის უმშვენიერესი დღე იდგა, ყინვა თხუთმეტ გრადუსს აღწევდა, ქროდა ზომიერი ძლიერამდე ქარი. სათამაშოდ უთოვლო, მოხვინჭული სანაპირო ავირჩიეთ. ცალ მხარეს გვერდით ხაზად ყინულოვანი სივრცე გვემსახურებოდა, მეორე მხარეს კი გულშემატკივრები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ყოველგვარი სანახაობის მოყვარული პინგვინები. ისინი მხიარულად გადასძახოდნენ ერთმანეთს რაღაცას და მოუთმენლად ელოდნენ წარმოდგენის დაწყებას.

მსაჯმა — ოკეანოლოგმა შახვერდოვმა — სასტვენს ჩაბერა და თამაშიც დაიწყო. ფეხბურთელები ისე თავდაუზოგავად დარბოდნენ, რომ ხვინჭას ნაპერწკლები სცვიოდა. მინდორს პირველად ჩილიელები დაეუფლნენ. ლათინური ამერიკის ფეხბურთის წარმომადგენლებს მთელის არსებით უყვარდათ ბურთი და თუკი ფეხებში მოიგდებდნენ, წმინდა მოვალეობად მიაჩნდათ, რაც შეიძლება მეტი მცველი დაეტოვებინათ პირში ჩალაგამოვლებული, მერე, ტერფით, მუხლით ან თავით გაესწორებინათ ბურთი და მოწინააღმდეგის მეკარის პირისპირ მარტოდ დარჩენილთ თავდაუზოგავად დაერტყათ. განსაკუთრებით მარცხენა გარემარბი ალექსის ზამორანო გამოირჩეოდა: ბურთს ისე ვერაგულად ურტყამდა, მეკარის — რადისტ ბორის ქემოვის თავგანწირული თამაში რომ არა, ალბათ ჩვენი ბადე მრავალგზის შეირხეოდა. მაგრამ მალე თამაში გათანაბრდა. პოლარული ავიაციის ბორტმექანიკოსმა ჟენია სლავნოვმა ერთერთი დიდებული გარღვევის მერე უკან მოიტოვა მცველები და ისეთი ძალით დაარტყა, რომ ის-ის იყო ზღვიდან ნაპირზე გამოსული ზღვის ლომი კვლავ ზღვაში გადაეშვა.

პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა.

შესვენებისას ჩვენს გულშემატკივრებს „ობიდან" დამხმარე ძალა მიემატა. ბიჭებმა ამბავი მოიტანეს, უფროსმა თანაშემწემ სერგეი ალექსის ძემ შემოგითვალათ, თუ წააგებთ, რეისის ბოლომდე მთელი გუნდი კარტოფილის სათლელად იჯდებითო კამბუზში. ამიტომაც მეორე ტაიმში ჩვენები გამოცოცხლდნენ და მოწინააღმდეგეს ისეთი ძალით შეუტიეს, რომ, მართალია, ჩილიელთა მეკარე კალიასავით ხტოდა და ბურთებსაც ოსტატურად იგერიებდა, ორჯერ მაინც უძლური აღმოჩნდა. ჯერ მზარეული ვანია ვოლოკიტინი გაიჭრა მოედნის შუაგულისკენ და ულამაზესი დარტყმით გაგზავნა კარში... ერთი ნახევრად მთვლემარე პინგვინი. ანგარიში არ შეცვლილა, რადგან, მსაჯის აზრით, ვანია თამაშგარე მდგომარეობაში იყო. გულშემატკივრებმა ყურისწამღები სტვენა აუტეხეს მსაჯს, მაგრამ ამაოდ. სამაგიეროდ, მეორე ბურთმა მთელი მატჩი დაამშვენა.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს არნაუტოვს თვალწინ სულ კარტოფილით პირთამდე სავსე უზარმაზარი ტომარა ედგა და გაათკეცებული იბრძოლა ბურთის ხელში ჩასაგდებად. მის მონდომებას ამაოდ არ ჩაუვლია. როცა ძლიერმა ქარმა დაუბერა და ჩილიელთა მეკარე კარიდან გამოტყორცნა, არნაუტოვმა დრო იხელთა და ბურთი ბადეში გახვია.

— ავტოგრაფები მერე იყოს! — გულშემატკივართა ყრიამულში ძლივს ისმოდა არნაუტოვის ხმა. — ფისუნკო, დაფნის გვირგვინი ჩამოჰკიდე კამბუზის კარს!

არნაუტოვის გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა მატჩში სსრ კავშირი — ჩილი, რომელმაც ახალი შესანიშნავი ფურცელი ჩაწერა ანტარქტიკული ფეხბურთის ისტორიაში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მატჩები, ფაქტები

23 ივნისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

„ზარია“ — „კარპატი“ 4:1.

ლიდერმა კვლავ ძლიერად ითამაშა და დიდი ანგარიშით გამარჯვება ჩაიწერა აქტივში. 2 ბურთი „კარპატის“ კარში გაიტანა სემიონოვმა (51-ე და 85-ე წ.), თითო—ჟურავლიოვმა (31-ე წ. პენალტით) და ელისეევმა (70-ე წ.). ანგარიში კი მე-7 წუთზე გახსნა ლვოველმა კოზინკევიჩმა.

მატჩი უხეშობით აღინიშნა, რისთვისაც მინდვრიდან გააძევეს ლვოველი ლიხაჩოვი. აღსანიშნავია, რომ ლიხაჩოვს მანამდე მიღებული ჰქონდა გაფრთხილება.

„ყაირათი“ — „დინამო“ (კიევი) 1:1.

მე-4 წუთზე, დინამოელთა იერიშისას, ანგარიში გახსნა მუნტიანმა. შემდგომში ინიციატივას მასპინძლები დაეუფლნენ და დინამოელთა მეკარე რუდაკოვს არაერთი ძნელი ბურთის აღება მოუხდა. მაინც, 78-ე წუთზე, როცა რუდაკოვი წინ იყო გამოსული და მისი ადგილი კარში დაიკავა სოსნიხინმა, მატვეევმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო. ეს „ყაირათის“ საიუბილეო, მე-300 გოლია საკავშირო ჩემპიონატებში.

„არარატი“ — „ზენიტი“ 4:2.

ერევნელი ფეხბურთელები შესვენებისთვის წინ იყვნენ ანგარიშით 3:0. „ზენიტმა“ მეორე ტაიმში შეძლო მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ დამარცხებას მაინც ვერ დააღწია თავი. გამარჯვებულთაგან 2 ბურთი გაიტანა ანდრიასიანმა (26-ე და 89-ე წ.), თითო — იშტოიანმა (მე-13 წ.) და ზანაზანიანმა (მე-40 წ. პენალტით). „ზენიტის“ მხრივ ბურთები გაიტანეს კოხმა (55-ე წ.) და ზინჩენკომ (87-ე წ.).

„დინამო“ — (მოსკოვი) — „დინამო“ (მინსკი) 0:1.

მიმდინარეობდა შეხვედრის მე-13 წუთი, როცა ბოგოვიკმა ზუსტი დარტყმით გაგზავნა ბურთი მასპინძელთა კარში. მინსკელებმა შეძლეს ამ უპირატესობის შენარჩუნება.

ასკ — „დნეპრი“ 4:0.

როსტოვის არმიელთა გუნდი საბოლოოდ შევიდა ფორმაში და მორიგი 2 ქულა აიღო. „დნეპრის“ კარში ბურთები გაიტანეს ანტონოვმა (28-ე და 49-ე წ.), ალექსანდროვმა (მე-5 წ.) და ჩიხლაძემ (84-ე წ.).

* * *

უპრეცედენტო ამბავი მოხდა ბაქოს სტადიონზე, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ ადგილობრივი „ნეფთჩი“ და მოსკოვის „სპარტაკი“. მატჩის დამთავრებას 15 წუთი აკლდა, ანგარიში კი არ იყო გახსნილი. ამ დროს გამოირთო განათება და მატჩი ჩაიშალა. იგი გადათამაშდება.

უმაღლესი ლიგა

# მომენტები, მომენტები, მომენტები...

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 23 ივნისი.

„დინამო“ (თბილისი) — ცსკა 0:0.

„დინამო“: გოგია, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, მჭედლიშვილი (რეხვიაშვილი), გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

ცსკა: ასტაპოვსკი, იანეცი, ზვიაგინცევი, ისტომინი, კაპლიჩნი, ხისამუტდინოვი, დოლგოვი, კოპეიკინი, ფედოტოვი (ტელინგერი), პოლიკარპოვი, დოროფეევი.

მსაჯი ა. ივანოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 2:1 „დინამოს“ სასარგებლოდ. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს წერეთელმა და ბუძიშვილმა, ცსკა-ს მხრივ — კუზნეცოვმა.

სსრ კავშირის ჩემპიონი I ლიგაში! ასეთი საფეხბურთო კურიოზის წინაშე აღმოჩნდა შარშან ცსკა. მაშინდელმა ჩემპიონმა სამ გუნდთან ერთად ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა და მხოლოდ გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით შეინარჩუნა ადგილი უმაღლეს ლიგაში. ამაში არმიელებს დაუფასებელი „სამსახური“ გაუწია თბილისის „დინამომ“, რომელმაც ორივე წრეში მარცხი იწვნია მათთან შეხვედრებში და 4 ქულით ის „გამსვლელი ბალი“ შეუქმნა ცსკა-ს, რომლის წყალობითაც იგი ისევ უძლიერესთა რიგებშია.

მაგრამ ისტორია მუდამ არ მეორდება. მოსკოველმა არმიელებმა იოლად დაძლიეს შარშანდელი კრიზისი, კვლავ უწინდებურად თამაშობენ და ახლა ისევ ოქროს მედლებისთვის მებრძოლთა რიგებში არიან.

ცსკა-მ განვლილ მატჩშიც ცხადყო თავისი სიძლიერე. გუნდის დაცვამ და მეკარე ასტაპოვსკიმ შეძლეს ეხსნათ კარი საგოლე მომენტებში, რომლებიც სისტემატურად იქმნებოდა მათს საჯარიმო მოედანზე, ხოლო წინა ხაზზე თავდამსხმელები მოქმედებდნენ მოულოდნელი, სწრაფი, ზუსტი კონტრშეტევებით და არანაკლებ ხშირად ქმნიდნენ ბურთის გატანის შესაძლებლობებს მოპირდაპირე კართან.

... წუთიც არ იყო გასული თამაშის დაწყებიდან, როცა ნოდიას ბურთის გატანის რეალური საშუალება მიეცა ყიფიანის საუკეთესო გადაცემის შემდეგ, მაგრამ მისი გადამწყვეტი დარტყმა უზუსტო გამოდგა. მალე გუცაევს, მაჩაიძეს და კვლავ ნოდიას ზედიზედ შეექმნათ ასეთივე შესაძლებლობანი არმიელთა კარის უშუალო სიახლოვეს და სტუმრები ისევ იღბლად გადაურჩნენ აშკარა გოლს.

ზუსტად ამავე პერიოდში არანაკლები ხიფათის წინაშე იყო დინამოელთა კარი, სადაც რამდენიმეჯერ არაზუსტად ითამაშა გოგიამ. კოპეიკინის, დოროფეევის დარტყმების შემდეგ ბურთი ასეთივე ვითარებაში სცდებოდა მიზანს, ხოლო ერთხელ მეკარის ფუნქციის შესრულება მოუხდა ხურცილავას, რომელმაც ბოლო მომენტში მიუსწრო ბურთს.

მთელი ტაიმის განმავლობაში დაუღალავად, ენერგიულად თამაშობდნენ „დინამოს“ თავდამსხმელები გუცაევი, ნოდია, ყიფიანი. სტუმრების მცველებს უჭირდათ მათთან ინდივიდუალური ბრძოლა და გამუდმებით იხმარებდნენ მაშველ ძალას ნახევარდაცვის ხაზიდან ხისამუტდინოვისა და დოლგოვის სახით. ამ სიტუაციაში გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა თბილისელთა ნახევარდაცვას, მაგრამ ეს რგოლი აშკარად ჩამორჩებოდა გუნდში. გავაშელს პერსონალური დავალება ჰქონდა: მოსკოველთა მაორგანიზებელი მოთამაშის — პოლიკარპოვის ნეიტრალიზება. ამ ამოცანის შესრულებისას იგი მოკლებული იყო საშუალებას თამამად მიეღო მონაწილეობა თავისი გუნდის იერიშებში. სუსტად ითამაშა მჭედლიშვილმა, რომელიც ხშირად კარგავდა ბურთს, მაჩაიძე კი სისტემატურად აგვიანებდა გადაცემას მაშინაც კი, როცა მისი პარტნიორები გახსნილი იყვნენ კომბინაციის გასაგრძელებლად. იგრძნობოდა ასათიანის არყოფნა, რომელსაც შეეძლო მოეწესრიგებინა ურთიერთმოქმედება მინდვრის ცენტრში. ამის გამო თამაშის მთელი სიმძიმე ჩვენი გუნდის თავდასხმას და დაცვას დააწვა.

მიუხედავად ამისა, დინამოელებს შეეძლოთ მოეგოთ ტაიმი, შეტევის დამამთავრებელ ფაზაში მეტი ყურადღება და მობილიზება რომ გამოეჩინათ.

ასეთივე ორმხრივი იერიშებით იყო აღსავსე მეორე ტაიმი. ისევ მრავლად იქმნებოდა საგოლე მომენტები ორივე კართან. კერძოდ, 65-ე წუთზე გუცაევის ფლანგური გარღვევის შემდეგ ასტაპოვსკის პირისპირ აღმოჩნდა რეხვიაშვილი, რომელმაც ბურთის გატანის თითქმის ასპროცენტიანი შანსი ვერ გამოიყენა.

მატჩის დასასრულს დინამოელთა რიგებში თავი იჩინა დაღლილობამ, ცსკა-მ რამდენიმე ძლიერი იერიში განახორციელა კოპეიკინისა და მინდორზე ახალგამოყვანილი ტელინგერის მეშვეობით, მაგრამ ბურთის გატანა ამ მატჩში არც ერთ მხარეს არ ეწერა.

რ. ქორიძე.

● ●

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია“ | 13 | 9 | 2 | 2 | 23—10 | 20 |
| „დინ.“ (თბ.) | 11 | 6 | 3 | 2 | 13—5 | 15 |
| ცსკა | 11 | 6 | 2 | 3 | 13—9 | 14 |
| „ტორპედო“ | 12 | 4 | 4 | 4 | 10—14 | 12 |
| „დნეპრი“ | 12 | 3 | 6 | 3 | 11—16 | 12 |
| „დინ.“ (კ.) | 10 | 4 | 3 | 3 | 13—12 | 11 |
| „სპარტაკი“ | 10 | 4 | 3 | 3 | 10—9 | 11 |
| „დინ.“ (მნ.) | 11 | 3 | 5 | 3 | 9—10 | 11 |
| „არარატი“ | 11 | 3 | 4 | 4 | 15—10 | 10 |
| „ზენიტი“ | 11 | 3 | 4 | 4 | 14—15 | 10 |
| „ნეფთჩი“ | 10 | 3 | 3 | 4 | 8—9 | 9 |
| „ყაირათი“ | 12 | 1 | 7 | 4 | 8—11 | 9 |
| ასკ | 12 | 3 | 3 | 6 | 12—17 | 9 |
| „კარპატი“ | 12 | 3 | 3 | 6 | 9—14 | 9 |
| „დინ.“ (მ.) | 9 | 3 | 2 | 4 | 9—11 | 8 |
| „ლოკომოტ.“ | 11 | 2 | 4 | 5 | 7—12 | 8 |

# საქართველოს ჩემპიონატი

## გათამაშების ცხრილი

### I ზონა

მდგომარეობა 24 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 18 | 11 | 5 | 2 | 29—20 | 27 |
| „მესხეთი“ (ტყიბული) | 18 | 11 | 4 | 3 | 35—16 | 26 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 18 | 10 | 6 | 2 | 26—9 | 26 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 19 | 10 | 5 | 4 | 27—22 | 25 |
| „სალხინო“ (გეგეჭკორი) | 18 | 9 | 5 | 4 | 31—17 | 23 |
| „სულორი“ (ვანი) | 17 | 8 | 5 | 4 | 18—9 | 21 |
| „სამცხე“ (აწყური) | 18 | 7 | 5 | 6 | 28—26 | 19 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 17 | 8 | 3 | 6 | 17—17 | 19 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 18 | 6 | 6 | 6 | 21—20 | 18 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 18 | 5 | 7 | 6 | 29—24 | 17 |
| „კახეთი“ (თელავი) | 18 | 7 | 3 | 8 | 20—21 | 17 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 18 | 7 | 3 | 8 | 20—30 | 17 |
| ასკ (თბილისი) | 17 | 6 | 4 | 7 | 22—19 | 16 |
| „გიგანტი“ (ლაითური) | 18 | 5 | 6 | 7 | 12—16 | 16 |
| „ეგრისი“ (ცხაკაია) | 18 | 6 | 3 | 9 | 19—25 | 15 |
| „ისანი“ (თბილისი) | 17 | 5 | 4 | 8 | 20—23 | 14 |
| „ივერია“ (ხაშური) | 18 | 5 | 4 | 9 | 14—32 | 14 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 18 | 6 | 1 | 11 | 28—30 | 13 |
| „ვარკეთილი“ (გარდაბანი) | 17 | 4 | 3 | 10 | 13—22 | 11 |
| „ბანთიადი“ (ბორჯომი) | 18 | 1 | 8 | 9 | 18—27 | 10 |
| „ფეიქარი“ (წულუკიძე) | 18 | 3 | 4 | 11 | 9—31 | 10 |

# სხვათა შორის

## სახელიც ასეთი უნდა!

ბელგიის დედაქალაქის გარეუბან პერსელეს მუნიციპალიტეტში ახალშობილის რეგისტრირების დროს უჩვეულო ამბავი მოხდა. როცა ოჯახის მამამ არნოშ ვაჟის სახელი თქვა, მუნიციპალიტეტის მოსამსახურემ ვერასგზით ვერ გაიმეორა იგი. ან რა გასაკვირი იყო, ბიჭის სახელი ადგილობრივი ფეხბურთელთა გუნდის ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობების მოთამაშეთა გვარების მიხედვითაა შედგენილი.



ამას წინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ზენტემბერგიდან სასიამოვნო ცნობა მოვიდა: საქართველოს ახალგაზრდა წარმომადგენელმა ი. ლეგაშვილმა (მწვრთნელი ნ. გაჩეჩილაძე) წარმატებით იასპარეზა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირში და 60 კგ წონით კატეგორიაში I ადგილზე გავიდა.

გდრ-იდან დაბრუნებული სპორტსმენი „შრომითი რეზერვების“ საჭიდაო დარბაზში ვინახულეთ და ვთხოვეთ მოკლედ ეამბნა ჩატარებული ბრძოლების შესახებ.

— საბჭოთა ნაკრები, — თქვა სპორტსმენმა, — „შრომითი რეზერვების“ ათლეტებით იყო დაკომპლექტებული. ჩემს გარდა ტურნირში კიდევ ერთი თბილისელი მონაწილეობდა: მე-11 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე ე. პოპოვი. საბჭოთა მოჭიდავეებმა ოქროს 7, ვერცხლის 2 და ბრინჯაოს 1 მედალი მიიღეს. შეჯიბრების მონაწილეთათვის დაწესებული პრიზი საუკეთესო ტექნიკისთვის საბჭოთა გუნდის წევრმა ვ. სოკოლოვმა დაიმსახურა. მე ოთხი შეხვედრა ჩავატარე, ორი წმინდად მოვიგე, ერთი — აშკარა უპირატესობით და ერთიც — ქულებით. პოპოვმა (იგი 56 კგ წონის კატეგორიაში ჭიდაობდა) სამი შერკინება ქულებით მოიგო, ფინალში კი რუმინელ რ. კონდრადთან დამარცხდა.

სურათზე: გდრ-ის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ი. ლეგაშვილი.

ა. გურასაშვილის ტექსტი და ფოტო.

# სასარგებლო წამოწყება

იუნიორ წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველმა ტურმა, რომელიც ამას წინათ ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში გაიმართა, ამ სახეობის გულშემატკივართა და სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია. საქმე ისაა, რომ ჩვენში იუნიორი წყალბურთელებისთვის იშვიათად ტარდება საკავშირო ღონისძიებები. ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაში არიან ფეხბურთელები, კალათბურთელები, რომელთაც საკავშირო ჩემპიონატების პარალელურად დუბლიორთა პირველობებიც იმართება. ვფიქრობთ, საკავშირო სპორტკომიტეტმა და წყალბურთის ფედერაციამ ამ საჭირო ღონისძიებით მეტად სასარგებლო საქმე წამოიწყეს.

საქმე ის არის, რომ წლების მანძილზე ოსტატთა გუნდების შემადგენლობებში მყოფი ახალგაზრდა, პერსპექტიული წყალბურთელები სათადარიგოთა სკამზე დიდხანს ისხდნენ და ძალაუნებურად გულს იცრუებდნენ არჩეულ სახეობაზე, თავს ანებებდნენ წყალბურთის თამაშს. ახლა კი შეჯიბრებაში უმაღლესი ლიგის ათივე გუნდის დუბლიორებმა აიღეს სტარტი. პირველი ტური კიევსა და თბილისში ჩატარდა. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში, როგორც ცნობილია, თამაშობდნენ მოსკოვის უნივერსიტეტისა და „ტორპედოს“ გუნდები, ვოლგოგრადის „სპარტაკი“, ალმა-ათის „დინამო“ და მასპინძლები — თბილისის დინამოელები.

გუნდები ძალიან შინაარსიანად, ლამაზად თამაშობდნენ. მასპინძლებმა ყველა მეტოქეს სძლიეს და 8 ქულით გათამაშების ცხრილში I ადგილზე დამკვიდრდნენ. II ადგილზე 6 ქულით ალმაათელები გავიდნენ. III ადგილზე არიან ვოლგოგრადელები.

თბილისელთაგან განსაკუთრებით ეფექტური თამაშით გაგვახარა გუნდის კაპიტანმა ოთარ იოსელიანმა, რომელიც, ამავე დროს, გათამაშების საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. მაღალი კლასი გამოავლინა ნუგზარ ჯრაძემაც. იგი კარგად ასრულებდა ცამთამაშებლის როლს. საიმედოდ იცავდა კარს იური იანოვსკი. მშვენივრად აუბეს მხარი პარტნიორებს ვალერი არუთინოვმა, ანატოლი შატალინმა, თეიმურაზ ლორთქიფანიძემ, ალექსანდრე ლოტოევმა. ყველა ამ მოთამაშემ „დინამოს“ ოსტატთა კოლექტივში ბევრი ეფექტური ტაქტიკური კომბინაცია აითვისა და საუცხოოდაც იყენებდა მათ.

ოსტატთა გუნდში თამაშის დროს ახალგაზრდა წყალბურთელებს დიდი პასუხისმგებლობის ტვირთი ბოჭავთ. მწვრთნელი და უფროსი პარტნიორები მათ მკაცრად განსაზღვრულ ფუნქციებს ავალებენ და ახალბედები მუდამ როდი ბედავენ ინიციატივის გამოჩენას, ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენას. თანატოლებთან კი ისინი თამამად თამაშობენ.

რასაკვირველია, მასპინძელთა თამაშშიც შეიმჩნეოდა წუნი, კერძოდ, როგორც წესი, ისინი გადამწყვეტ უპირატესობას დებიუტშივე აღწევდნენ, მომდევნო პერიოდებშიც ტემპერამენტით თამაშობდნენ, მაგრამ ხშირად ირღვეოდა ერთმანეთთან კონტაქტი და უპირატესობაც აღარ იგრძნობოდა. ეს გასაგებიცაა: იუნიორებს იშვიათად უხდებათ ერთად თამაში, ოსტატთა გუნდებში ისინი უფროსი კოლეგების მხარდამხარ გამოდიან, აქ კი ცალკეულ რგოლებში პარტნიორები შეეცვალათ. მათთან კონტაქტის დამყარებას, გეგმიან თამაშს დრო და გამოცდილება სჭირდებოდა.

ჩვენი იუნიორების გამოსვლას ხელმძღვანელობდა მწვრთნელი გ. ხარებოვი. 50-ან წლებში იგი წარმატებით იცავდა მოსკოვის „დინამოს“ კარს, 1951-54 წლებში საბჭოთა ქვეყნის უძლიერეს მეკარედ ითვლებოდა, 60-ან წლებში კი მწვრთნელად დაიწყო მუშაობა მოზარდებთან. მისი აღზრდილები ნ. მშვენიერაძე, ო. ბოვინი და ო. როდიონოვი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში თამაშობენ. იმედია, რსფსრ-ს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ხარებოვი მშობლიურ ქალაქში დიდი გულმოდგინებითა და თავგამოდებით იმუშავებს სამამულო წყალბურთისთვის საიმედო ცვლის აღსაზრდელად.

ვ. ბარნაბიშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

წყალბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც უკვე ვიუწყებოდით, პროფესიონალთა 55-ე ტრადიციული ველორბოლა „ჟირო დ'იტალია“ (3794 კმ, 20 ეტაპი) ბელგიელმა ედი მერქსმა მოიგო. ამ ფენომენალური მრბოლელის გამარჯვება მოულოდნელი არავისთვის ყოფილა. ვარაუდობდნენ, რომ „სუპერჩემპიონი“ იოლად გაუსწორდებოდა ყველა მეტოქეს, თუ, რასაკვირველია, რაიმე მოულოდნელი შემთხვევა არ შეუშლიდა ხელს. 1969 წელს, მაგალითად, მერქსს „ჟიროს“ დამთავრებამდე რამდენიმე დღით ადრე სასმელში დოპინგი შეურიეს, რასაც მისი დისკვალიფიკაცია მოჰყვა. წლეულს მარტში „პარიზი — ნიცას“ რბოლის ტრასაზე მერქსი ხრამში გადავარდა და რაღაც სასწაულით გადარჩა. რაც შეეხება სპორტულ მაჩვენებლებს, ამ სეზონში მერქსმა მოიგო „ბრაბანსონის ისარი“, „ვალონიის ისარი“, „ლიეჟი — ბასტონი — ლიეჟი“, „მილანი — სან რემო“. ეს ყველაფერი მერქსის შესანიშნავ სპორტულ ფორმაზე მეტყველებს. შემდეგ ბელგიელმა სპორტსმენმა „ჟიროს“ მოგება დაისახა მიზნად და უარი თქვა 17-ეტაპიან ესპანურ „ვუელტაზე“, სადაც ჰონორარად 30 ათას დოლარს სთავაზობდნენ.



# ერთი ყველას წინააღმდეგ

პროგნოზები გამართლდა: მერქსი მილანში პირველი ჩავიდა. მაგრამ, სპეციალისტების დიდი ნაწილისთვის მოულოდნელად, ბელგიელ მრბოლელს ბოლო ზეკარამდე შეუპოვრად ებრძოდნენ ესპანელი „მეკლდეურები“ — „კაზის“ (ხილის წვენის რეკლამას უწევა) გუნდის წევრები. მათ მეთაურობდა „ვუელტაში“ გამარჯვებული, ტანმორჩილი მრბოლელი ხოსე მანუელ ფუენტე. რბოლის უკვე მე-4 ეტაპზე, როცა ველოსიპედისტები „ბლოკ ჰაუსის“ ზეკარზე (1700 მ ზღვის დონიდან) გადადიოდნენ, ფუენტემ, რომელსაც შვიდი ესპანელი ეხმარებოდა, პირველად გამოუცხადა ბრძოლა მერქსს და ლიდერის ვარდისფერ მაისურში გამოეწყო. ეს დიდი სენსაცია იყო. 1971 წელს ფუენტემ „ჟიროს“ რბოლაში გამარჯვებულ შვედ გ. პეტერსონთან საათნახევარზე მეტი წააგო. ახლა კი, როცა ჟურნალისტებმა ჰკითხეს, ასეთ წარმატებას რა გზით მიაღწიეთო, ფუენტემ უპასუხა: წინათ ნახევრად მშიერი ვიყავი. ბიფშტექსის გემო მხოლოდ მაშინ გავიგე, როცა „კაზის“ ფირმასთან დავდე ხელშეკრულება და თვეში 400 დოლარი მომცესო. ფუენტემ ამ ხელშეკრულების შემდეგ, როგორც იქნა, შეირთო ცოლად საყვარელი ქალი, რომელიც 9 წლის წინ დანიშნა. „ახლა აღარ ვშიმშილობ, — თქვა ფუენტემ, — და ზეკარზე ისე იოლად ავდივარ, თითქოს თავდაღმართში მივქროდე“.

„პირველი რაუნდის“ წაგებამ მერქსი ვერ დააბნია. მე-7 ეტაპზე იგი პეტერსონთან ერთად ოთხ წუთზე მეტით მოსწყდა დანარჩენ მეტოქეებს და ლიდერობა ხელთ იგდო. პეტერსონმა ეტაპი მოიგო და მერე ამბობდა: „მე ცოცხალმკვდარი მივედი ფინიშთან. ჯგუფს ასე რომ გავუსწარით, მერქსის წყალობა იყო. ედი დიდებული მრბოლელია“.

პირად ჩათვლაში 7 ეტაპის შემდეგ საუკეთესოთა ათეულში მერქსისა და პეტერსონის გარდა შედიოდნენ ესპანელები ხ. ფუენტე (მესამე), მ. ლასა (მეოთხე), ა. გალდოსი (მეექვსე), ა. ლოპეს კარილი (მერვე) და ხ. ლასკანო (მეათე). იტალიელები ჯ. მოტა, ი. ძილიოლი და პ. სკიავონი შესაბამისად V, VII და IX ადგილებზე იყვნენ.

როცა მერქსს ჰკითხეს, მოგება განაღდებული გაქვთ თუ არაო, მან უპასუხა: „მე 75 კილოგრამს ვიწონი და ზეკარებზე მიჭირს ფუენტეს დევნა. ფუენტე სულ 50 კილოგრამია, მაგრამ არ მეშინია მისი, თუმცა დიდ პატივს ვცემ, როგორც მეტოქეს. აღმართებზე ბევრის წაგებას მაინც არ ვაპირებ, დაყოფილი სტარტით რბოლაში კი 40 კილომეტრზე, თუ მეტს არა, ორ წუთს მაინც მოვუგებ“.

მრბოლელებმა რომში დაისვენეს. მერქსი მთელი დღე არ მოშორებია მექანიკოსს, რომელმაც საგულდაგულოდ შეამოწმა მისი ველოსიპედის ყველაზე პატარა დეტალებიც კი. იტალიელმა ძილიოლიმ და ესპანელმა ლასამ ეტაპებზე გაიმარჯვეს, მაგრამ ლიდერის პოზიცია ვერ შეარყიეს.

მერქსმა საუკეთესო შედეგები მოიპოვა ინდივიდუალურ რბოლაში, რაც 20 კმ-ზე ორ სერიად ჩატარდა. მართალია, თანაგუნდელ რ. ზვერტსს მერქსმა სულ 0,3 წამით აჯობა, მაგრამ ძირითადი მეტოქეები საკმაოდ დიდი მანძილით ჩამოიტოვა — 50 წამი მოუგო ფ. ჯიმონდის, 1.22 — პეტერსონს, 2.22 — ფუენტეს, 2.29 — ლასას.

ესპანელებმა გადაწყვიტეს ერთ-ერთი მთავარი იერიში მე-14, ალპიურ ეტაპზე მიეტანათ. ამ ეტაპის მანძილი 256 კმ იყო, ხოლო ფინიში ჟაფეროს ზეკარზე ეწყობოდა, ზღვის დონიდან 2000 მეტრზე. სესტრიერეს ზეკარზე (2033 მ) ფინიშიდან 50 კილომეტრზე ფუენტემ და გალდოსმა მერქსს 50 წამით გაუსწრეს. მერე ბელგიელი იძულებული გახდა ბორბალი გამოეცვალა და სხვაობა კიდევ გაიზარდა — 1.35. მერქსი მეტოქეებს გაეკიდა. ფინიშამდე 5 კმ რომ დარჩა, სხვაობა უკვე 1.05 იყო. ამასობაში ფუენტემ გალდოსი ჩამოიტოვა და მარტო უტევდა ჟაფეროს მწვერვალს. ესპანელის გამარჯვება უკვე აღარავის ეეჭვებოდა, მაგრამ მერქსი თანდათან უმატებდა ტემპს და ერთიმეორეზე ჩამოიტოვა ყველა მეტოქე, ბოლო კილომეტრზე მან ფუენტესაც აჯობა და დისტანციის დასასრულს უკვე 47 წამით წინ იყო. საინტერესოა, რომ ბრძოლა 8 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა და ფინიშს ყველა მრბოლელმა როდი მიაღწია. იტალიელი დ. ბოიფავი მძიმე შოკში ჩავარდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს. რამდენიმე მრბოლელი, მათ შორის, ცნობილი ვარსკვლავები ჯ. მოტა, ფ. ბიტოსი, ი. ძილიოლი შეჯიბრებიდან მოხსნეს ავტომანქანებისა და მოტოციკლების ლიდერებად გამოყენებისთვის.

„ჟიროს“ კულმინაცია ჯერ წინ იყო — მე-17 ეტაპზე მრბოლელებს ელოდათ ტრასის ყველაზე მაღალი წერტილი — ფაუსტო კოპის სახელობის მწვერვალი სტელვიოს ზეკარზე (2757 მ). ფუენტემ აქედან ორმოცდამეხუთე წერილი გაუგზავნა ცოლს (იგი ყოველდღე სამ-სამ ბარათს გზავნიდა ესპანეთში) და წერდა, დანებებას არ ვაპირებო. ჟურნალისტებს მან უთხრა, 13-კილომეტრიან აღმართზე მერქსს 2-7 წუთს მოვუგებო. „ხომ შეიძლება თქვენ წააგოთ მასთან 6-7 წუთი?“ — ჰკითხეს ჟურნალისტებმა. „მაშინ მერქსი პირდაპირ მუზეუმში უნდა გააქანონ, რადგან მსოფლიოში არ მეგულება მრბოლელი, ვისაც შეიძლება აღმართზე ამდენით ჩამოვრჩე“, — მიუგო ესპანელმა.

ფუენტემ მხოლოდ „პროგრამა-მინიმუმის“ შესრულება შეძლო — მერქსს 2.05 მოუგო. რაკი წინადღით ბელგიელმა მე-16 ეტაპზე 1 წუთის უპირატესობით გაიმარჯვა, ესპანელმა მხოლოდ II ადგილის შენარჩუნება შეძლო — ლიდერს 3 წუთითა და 44 წამით ჩამორჩებოდა. იმ საღამოს ფუენტემ თავი დამარცხებულად ცნო. „მე მეორე ვიქნები უდიდესი მრბოლელის შემდეგ, რომლის სახელიც ედი მერქსი გახლავთ“. მართლაც, მერქსის შემდეგ II ადგილი ფუენტესთვის მშვენიერი სავიზიტო ბარათია. იტალიის ერთ-ერთმა ფირმამ მას მყისვე შესთავაზა ხელშეკრულება 1973 წლისთვის და თვეში 3 ათას დოლარს დაჰპირდა. ესპანელმა ისღა ინანა, რომ უკვე დადებული ჰქონდა გაისისთვის ხელშეკრულება თავის ფირმა „კაზთან“, რომელიც თვეში სულ 600 დოლარს მისცემს.

შეჯიბრების მიწურულს მერქსმა მოიგო ინდივიდუალური რბოლა 18 კმ-ზე საათში საშუალოდ 47,5 კმ სისწრაფით. და ეს მას შემდეგ, რაც დილის 8 საათზე მოიწყო ჯგუფური რბოლა 163 კმ-ზე. ამ დღეს რბოლის ტრასაზე მილიონზე მეტმა მაყურებელმა მოიყარა თავი (ყოველდღიურად შეჯიბრებას ტელეეკრანებზე ადევნებდა თვალს ევროპის ქვეყნების რამდენიმე ათეული მილიონი მაყურებელი).

ინდივიდუალური რბოლის მთელს 18-კილომეტრიან დისტანციაზე მერქსს მანქანით მიჰყვებოდნენ ბელგიის ყოფილი ხელმწიფე ლეოპოლდი, პრინცესა დე რეტი და მისი ქალიშვილი ესმერალდა. მათ ახლდა და ახსნა-განმარტებებს აძლევდა მსოფლიო ექსჩემპიონი ფიორენცო მანიი.

მერქსისა და ფუენტეს შემდეგ ადგილები დაიკავეს ესპანელებმა ა. გალდოსმა და ა. ლოპეს კარილმა, იტალიელმა ვ. პანიცამ, შვედმა გ. პეტერსონმა, ბელგიელმა რ. დე ვლამინკმა, იტალიელმა ფ. ჯიმონდიმ, ესპანელებმა მ. ლასამ და ხ. ლასკანომ.

მერქსს ჰკითხეს, „ტურ დე ფრანსში“ გამოხვალთ თუ დაისვენებთო. მან უპასუხა: „არ დაგავიწყდეთ, მე მელიან ოკანა, ზუტემელკი, ტევენე, პულიდორი და სხვები. განა შემიძლია უარი ვთქვა მათთან დუელზე?“

მაშ, ასე, წინაა შეუპოვარი ბრძოლის სამი კვირა, ამჯერად უკვე საფრანგეთის მიწაზე.

მ. ხარამია.

• • •

სურათზე: ედი მერქსი აღმართში უსწრებს ხოსე მანუელ ფუენტეს.



როგორც ცნობილია, ინგლისის ქალაქ პლიმუტში სტარტი აიღო ტრანსატლანტიკურმა რბოლამ თვითნაკეთი აფრიანი ნავებით. შამაც ზღვაოსნებს ფინიში ამერიკის ხანაპიროზე, ნიუ-იორკის მახლობლად ექნებათ. წლეულს შეჯიბრებაში პოლონელი სპორტსმენებიც მონაწილეობენ. მათ შორისაა ზ. პუხალსკი, რომელსაც ბევრჯერ უმოგზაურია ზღვაზე. მან „სიმამაცის გამოცდა“ ატლანტის ოკეანეში მარტოდმარტომ, ძლიერ ქარიშხალში 83 დღეს ცურვის დროს ჩააბარა.

• • •

სურათზე: ზ. პუხალსკი თავის ნავ „მირანდაზე“.

ცაფ — საკდენის ფოტო.

იყო... 19 45

◆ ტოკიო, 24 ივნისი. იაპონიის ერთ-ერთი რადიომაუწყებელი კორპორაციის მოწყობილ ტურნირში პოლონეთის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ანგარიშით 3:0 სძლია ამომავალი მზის ქვეყნის ახალგაზრდულ გუნდს. სტუმრები ახლა ფინალში მასპინძელთა ეროვნულ კოლექტივს შეხვდებიან. პოლონელები იაპონიაში კიდევ შვიდ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებენ.

◆ სანტა-კლარა, 24 ივნისი. ამერიკელმა მ. სპიტცმა კალიფორნიის ამ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში 100 მ თავისუფალი სტილით 52,4 წამში გაცურა (საუკეთესო შედეგია წლეულს პლანეტაზე და მხოლოდ ნახევარი წამით ჩამოუვარდება სპიტცისავე მსოფლიო რეკორდს).

◆ აუგსბურგი, 24 ივნისი. ვფრ-ისა და სსრ კავშირის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების მატჩის პირველი დღე მწვავე ბრძოლით აღინიშნა: ვაჟთა შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენები დაწინაურდნენ ანგარიშით 104:101, ქალებში კი გერმანელები — 86:75.

# ცეცხლის ხაზზე

## დამატებითი სერიების დღე

**მოსკოვი, 23 ივნისი.** პეშმარიტად დამატებითი სერიების დღე შეიძლება ვუწოდოთ 23 ივნისს, როცა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მოსკოველმა ე. პეტროვმა მრგვალ სტენდზე, ხოლო სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ოქროს პრიზიორმა, ლენინგრადელმა ა. ანდროშკინმა ადგილიდან სროლაში სსრ კავშირის მესტენდეურეთა აქ მიმდინარე ჩემპიონატში მხოლოდ დამატებითი სერიების შემდეგ დაიკავეს I ადგილები.

პეტროვის მსგავსად 196 თეფში გატეხა სვერდლოვსკელმა ი. ცურანოვმა. მაშინ მსაჯებმა დამატებითი სერია დანიშნეს. პეტროვმა 25 ქულა მოაგროვა, ცურანოვმა კი 23. III ადგილზეა ა. ალიევი (აზერბაიჯანი) — 195.

ანდროშკინის მთავარი მეტოქე ესტონელი პ. ვეპში აღმოჩნდა. მათ 191-191 ქულა დაუგროვდათ. და აი, ისევ დამატებითი სერია. აქ ანდროშკინმა 24 ქულა დააგროვა, ვეპშმა კი 2 ქულით ნაკლები. III ადგილზეა ოდესელი ი. ნიკანდროვი — 189.

მოსკოვის ოლქში, „ლოკომოტივის“ სასროლეთზე, ჩემპიონატი კიდევ ორ დღეს გასტანს: წინაა შეჯიბრებები პირველ აცდენამდე და წყვილ სამიზნეებზე სროლაში.

## რეკორდსმენი... IX ადგილზე

**მინსკი, 23 ივნისი.** ტყვიის მსროლელთა საკავშირო ჩემპიონატში დღესაც ლენინგრადის წარმომადგენელმა გაიმარჯვა: მცირეკალიბრიანი ნებისმიერი შაშხანით 50 მეტრზე წოლელა სროლაში ოქროს მედალი მოიგო დინამოელმა ნ. პესტანოვმა. მისი შედეგია 593 ქულა.

ერთნაირი მაჩვენებლები (591 ქულა) ჰქონდათ ლვოველ ი. ჩუბკოსა და ლენინგრადელ ვ. რასკოვალოვს (ორივე — შეიარაღებული ძალები). მაგრამ მეექვსე სერიაში ლვოველი სპორტსმენი უკეთესად ისროდა — სულ 2 ქულა დაკარგა, მაშინ, როცა ლენინგრადელს ორჯერ მეტი დანაკარგი აღმოაჩნდა. სწორედ ამან იქონია გავლენა ადგილების განაწილებაზე: ვერცხლის მედალი ჩუბკოს ხვდა, ბრინჯაოსი — რასკოვალოვს.

ამ ვარჯიშში 30 სპორტსმენი მონაწილეობდა. მათ შორის იყო სსრ კავშირის რეკორდსმენი, მინსკელი ვ. პარხიმოვიჩი, რომელსაც, სხვათა შორის, აქტივში აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აქვს — 600 ქულა 600-დან. ამჯერად პარხიმოვიჩმა საკმაოდ მოკრძალებული, IX ადგილი დაიკავა (587 ქულა).

სტაბილურად ასპარეზობს ერთ-ერთი ვეტერანი, 39 წლის აშხაბადელი მ. ნიიაზოვი. იგი IV ადგილზე გავიდა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დირექცია იუწყება, რომ გარდაიცვალა კლუბის თანამშრომელი

ავთანდილ სიმონის ძე დავლიანიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 02578